საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1394/01
17/02/2021

1394-01-2-202102171106

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვალის განკარგულებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ გამოეყო 10 000 000 ლარი, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საიდანაც სააგენტოს მიერ ათვისებულ იქნა 9 959 774 ლარი.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ 2021 წელსაც აქვს ზემოაღნიშნული ფონდიდან, 5 000 000 ლარის გამოყოფის საჭიროება, დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, კერძოდ:

- 826 500 ლარი - „აგროდაზღვევის“ პროექტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის N236 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად (ქვეპროგრამის „აგროდაზღვევა“ (31 05 03) ფარგლებში);
- 1 500 000 ლარი - „დანერგე მომავალი“ პროექტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად (ქვეპროგრამის „დანერგე მომავალი“ (31 05 04) ფარგლებში);
- 2 038 500 ლარი - „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N139 განკარგულებით დამტკიცებული გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად (ქვეპროგრამის „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ (31 05 06) ფარგლებში);
- 120 000 ლარი - „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად

(ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება“ (31 05 10) ფარგლებში);

- 515 000 ლარი - „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N150 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად (ქვეპროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება“ (31 05 10) ფარგლებში).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოთ საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი განკარგულების პროექტის წარდგენა.

ოთარ შამუგია

მინისტრის მოადგილე